



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო  
ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

3500, საქართველო, ქ. ოზურგეთი, კოსტავას ქ.  
№1 Kostava str. Ozurgeti, 3500, Georgia.

[www.ozurgeti.gov.ge](http://www.ozurgeti.gov.ge)

ქ. ოზურგეთი

N 6  
25/01/2017

6-03-4-201701251910



განკარგულება №6  
25 იანვარი 2017 წელი

ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა  
ორგანიზების მიზნით დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“- ს მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის, 29-ე მუხლის, 61-ე მუხლის მეორე ნაწილის და „ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 2 აგვისტოს N1 დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის 34-ე მუხლის თანახმად:

1. ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გერბისა და დროშის შემუშავების სამუშაოთა ორგანიზების მიზნით, ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში საკითხის დამატებით შესწავლის მიზნით შეიქმნას ახალი დროებითი სამუშაო ჯგუფი ძველი ჯგუფისგან განსხვავებული შემადგენლობით:

დროებითი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელი - ნინო გოგუაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე.

წევრები: გელა კობალაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

ირინე საჯაია - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო, იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

მედია მახარობლიძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხების კომისიის თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

თამარ ნადირიძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ოზურგეთის მომავლისათვის“ თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

ლევან მგელაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

ნინო ტაბატაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ტურიზმის, ახალგაზრდულ საქმეთა, გენდერული, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

ლევან თოიძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

გოჩა ძიმისტარიშვილი - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

ვასილ ჩიგოგიძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

თეიმურაზ სალუქვაძე - ქალაქ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქცია „ძლიერი თვითმმართველობისათვის“ თავმჯდომარე - დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრი.

2. დროებითი სამუშაო ჯგუფის გადაწყვეტილებით აუცილებლობიდან გამომდინარე, დროებითი სამუშაო ჯგუფის წევრად სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადით, სათათბირო ხმის უფლებით შეიძლება სხვა პირთა მოწვევაც.

3. დროებითი სამუშაო ჯგუფის უფლებამოსილების ვადა განისაზღვროს მიმდინარე წლის 25 იანვრიდან 2017 წლის 25 აპრილამდე.

4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მის: ქ. ოზურგეთი, ი. სიორიძის ქ.№14).

5. ეს განკარგულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

გელა კობალაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

ხელმძღვანელობა